ირიბი ჩვენებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „ჰორნქასლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 4184/10) ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფის ,,დ'' ქვეპუნქტის დარღვევას (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება). საქმე ეხებოდა ოთხი მომჩივნის საჩივარს, რომლებიც დაობდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის დროს მომჩივნების წინააღმდეგ მტკიცებულების სახით დაზარალებულთა წერილობითი განცხადების დაშვება, არღვევდა მათ უფლებას, დაეკითხათ მოწმე, რომელიც მათ წინააღმდეგ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდა.

ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა „ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (საჩივრის ნომ. 26766/05 და 22228/06) საქმეში დიდი პალატის მიერ დადგენილი პრინციპები, სადაც მან განაცხადა, რომ მსჯავრდების დაფუძნება ირიბი მოწმის ჩვენებაზე ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს. როდესაც ირიბი მტკიცებულება ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულებაა, უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა ადეკვატური საპირწონე ფაქტორები, მათ შორის პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს დაცვის მხარისათვის წარმოშობილი სირთულეების კომპენსირება.

საქმეში „მაიკლ ქრისტოფერ ჰორნქასლი, დევიდ ლი ბლექმორი, აბიაჰ მარქესი და ჯოზეფ დევიდ გრეჰემი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პირველ ორ მომჩივანთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თუნდაც მიჩნეული ყოფილიყო, რომ დაზარალებულის წერილობითი ჩვენება ,,გადამწყვეტი'' იყო, მიუხედავად ამისა ეროვნულ კანონმდებლობაში მათი სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად არსებობდა საკმარისი გარანტიები. რაც შეეხება დანარჩენ ორ მომჩივანს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ჩვენება არ იყო არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მათი მსჯავრდებისათვის და, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა დაცვის უფლებების დარღვევას.

ეს გადაწყვეტილება აჯამებს სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებულ სასამართლო დიალოგს, რომელიც ევროპული სასამართლოს მიერ ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო. წინამდებარე მომჩივნის საჩივრის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ შეისწავლა ზემოთხსენებული გადაწყვეტილება და დიდ პალატას მოუწოდა, რომ ხელახლა განეხილა საქმე. ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეზე დიდი პალატის შემდგომი გადაწყვეტილება ეთანხმებოდა უზენაეს სასამართლოს, რომ ერთადერთ და გადამწყვეტ მტკიცებულებასთან დაკავშირებული წესი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მკაცრი და მოუქნელი გზით.

ძირითადი ფაქტები

მომჩივნები, მაიკლ ქრისტოფერ ჰორნქასლი, დევიდ ლი ბლექმორი, აბიაჰ მარქესი და ჯოზეფ დევიდ გრეჰემი (Michael Christopher Horncastle, David Lee Blackmore, Abijah Marquis, Joseph David Graham,), 1980, 1981, 1978 და 1981 წელს დაბადებული ბრიტანეთის მოქალაქეები გახლდნენ. ისინი ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან.

2007 წლის ნოემბერში ნაფიც მსაჯულთა ერთხმად მიღებული ვერდიქტით ბ-ნი ჰორნქასლი და ბ-ნი ბლექმორი მსჯავრდებულად ცნეს სხეულისთვის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებისათვის. დაზარალებულმა პოლიციას მისცა წერილობითი ჩვენება. მან ამოიცნო თავისი თავდამსხმელები. დაზარალებული გარდაიცვალა სასამართლო პროცესის დაწყებამდე ავადმყოფობით, რომელიც დაკავშირებული არ იყო ამ შემთხვევასთან. ჩვენება სასამართლო პროცესზე დაუშვეს მომჩივანთა წინააღმდეგ მტკიცებულებად.

2008 წლის 12 მაისს ბ-ნი მარკი და ბ-ნი გრეჰემი მსჯავრდებულად ცნეს ქალბატონის საკუთარი სახლიდან გატაცების გამო. გატაცების დროს, ისინი მას ემუქრებოდნენ ზიანის მიყენებით. დაზარალებულმა და თავისმა მეუღლემ თავდაპირველად პოლიციას მისცეს წერილობითი ჩვენებები, თუმცა მოგვიანებით უარი განაცხადეს სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლაზე, რადგან მათ ეშინოდათ, რომ მათ ოჯახებს საფრთხე შეექმნებოდათ. დაზარალებულის ჩვენება მიღებულ იქნა მომჩივანთა წინააღმდეგ მტკიცებულებად, მაგრამ მოსამართლემ უარი თქვა მისი მეუღლის ჩვენების მტკიცებულებად დაშვებაზე.

მომჩივნებმა გაასაჩივრეს მათი მსჯავრდებები სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ისინი არ დაკმაყოფილდა 2009 წლის მაისში. შემდგომ მათ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ასევე არ დაკმააყოფილა მათი მოთხოვნა 2009 წლის დეკემბერში.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემადგენლობა

მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფსა და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრებისა და დაკითხვის უფლება) მომჩივნები დაობდნენ, რომ დაზარალებულთა წერილობითი ჩვენებების სასამართლო პროცესზე დაშვებით ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს მათი უფლება, დაეკითხათ მოწმეები, რომლებმაც მისცეს მათ წინააღმდეგ ერთადერთი ან გადამწყვეტი ჩვენება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეიტანეს 2010 წლის 7 იანვარს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ აღნიშნა, რომ ის თანმიმდევრულად უსვამდა ხაზს, რომ მტკიცებულების დასაშვებობა უპირველესად იყო ეროვნული კანონმდებლობისა და სასასამართლოების რეგულირების საგანი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა იმის შეფასება, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანად სამართლიანი. მან გაიმეორა რომ მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი მოიცავდა პრინციპს, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე, რათა არსებობდეს გასაჩივრების შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (№ 26766/05, 22228/06) ამ პრინციპის მიხედვით დადგინდა ორი მოთხოვნა. პირველ რიგში, უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი. მეორე რიგში, როდესაც მსჯავრდება მარტოოდენ ან გადამწყვეტად დაფუძნებულია სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენებაზე, შეიძლება აღნიშნული შესაბამისი იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან, თუ არსებობს საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მათ შორის ძლიერი პროცედურული გარანტიები, რათა მოხდეს მტკიცებულების სამართლიანი და სათანადო შეფასება.

მომჩივნებს არ გაუსაჩივრებიათ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოწმის ჩვენების დაშვებას, ვინაიდან დაეთანხმნენ, რომ არსებობდა ძლიერი გარანტიები, რომელიც მიზნად ისახავდა გაერთიანებულ სამეფოში სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობის უზრუნველყოფას. მათ ეჭვი შეიტანეს, თუ რამდენად სათანადოდ გამოიყენეს ეს მექანიზმები მათ საქმეებში მიღებულ გადაწყვეტილებებში.

როგორც ახსნილი იყო ალ-ხავაჯა და ტაჰერის საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი დასმული კითხვები თითოეულ საქმეში იყო: არსეობდა თუ არა მოწმეთა გამოუცხადებლობის სათანადო მიზეზი; იყო თუ არა მოწმეთა ჩვენებები „ერთადერთი ან გადამწყვეტი“; და თუ ასე იყო, მიუხედავად ამისა, არსებობდა თუ არა ადეკვატური საპირწონე ზომები.

ბ-ნი ჰორქასლი და ბ-ნი ბლექმორი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა, რომ მსხვერპლის სიკვდილმა აუცილებელი გახადა მისი ჩვენების დაშვება სასამართლო პროცესზე, თუ აუცილებელი იყო მისი ჩვენების განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმის გადაწყვეტისას, იყო თუ არა მსხვერპლის ჩვენება გადამწყვეტი მომჩივანთა მსჯავრდებისათვის, უპირველეს ყოვლისა აფასებს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს. პირველი ინსტანციის

სასამართლოს მოსამართლე აცხადებდა, რომ ბრალდების მხარე მთლიანად ეფუძნებოდა დაზარალებულის ჩვენებას, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მომჩივანთა მსჯავრდებები „გადამწყვეტი ხარისხით“ ეფუძნებოდა დაზარალებულის ჩვენებას. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა აღიარება, რომ ისინი იყვნენ დაზარალებულის სახლში იმ ღამეს, როდესაც დაზარალებულზე მოხდა თავდასხმა, იყო იმგვარი, რომ თავად დაზარალებულის ჩვენება არ იყო გადამწყვეტი იმ კუთხით, რომ მას განესაზღვრა საქმის შედეგი.

თუმცაღა, თუნდაც იმის ვარაუდისას, რომ ჩვენება იყო „გადამწყვეტი“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა საკმარისი საპირწონე ფაქტორები, რომ მომხდარიყო ჩვენების სასამართლო პროცესზე დაშვებით გამოწვეული ნებისმიერი სირთულის კომპენსირება, მათ შორის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არეგულირებდა იმ გარემოებებს, რომელშიც ირიბი ჩვენება უნდა ყოფილიყო დასაშვები და, ასევე, მომჩივანთა მიერ ჩვენების სასამართლო პროცესზე დაშვების გასაჩივრების შესაძლებლობა. ეროვნული კანონმდებლობის გარანტიები სათანადოდ იქნა გამოყენებული სასამართლო პროცესის განმხილველი მოსამართლის მიერ. ბრალდების მხარის სხვა მტკიცებულებათა სიძლიერემ და სასამართლოს განხმილველი მოსამართლის მიერ მიცემულმა ფრთხილმა მიმართულებებმა, ნაფიც მსაჯულებს მისცა შესაძლებლობა, მომხდარიყო დაზარალებულის ჩვენების სანდოობის სამართლიანად და სათანადოდ შეფასება. შესაბამისად, არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი ბ-ნ ჰორქასლსა და ბ-ნ ბლექმორთან მიმართებაში.

ბ-ნი მარკი და ბ-ნი გრეჰემი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ არსებობდა სათანასო მიზეზი, თუ რატომ არ დაესწრო დაზარალებული სასამართლო განხილვას ჩვენების მისაცემად. პროცესის განმხილველმა მოსამართლემ სათანადოდ გამოიკვლია დაზარალებულის შიშის ბუნება, ფარგლები და საფუძვლები. მისი მოტაცების დროს განხორციელებული მუქარებმა, და ფაქტმა, რომ მას ჩვენების მიცემას ერჩივნა რომ იგი დაეპატიმრებინათ, დაარწმუნა მოსამართლე, რომ დაზარალებული იყო „გაქვავებული, ნამდვილად გასაჭირში“. ყველა ხელმისაწვდომი ზომა იქნა მიღებული, რათა მისი დასწრება უზრუნველყოფილიყო. პროცესის განმხილველი მოსამართლის უარი დაზარალებულის მეუღლის წერილობითი ჩვენების დაშვების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ იგი არ დარწმუნებულა, რომ მეუღლის გამოუცხადებლობა სასამართლო განხილვაზე გამოწვეული იყო შიშით, აჩვენებდა მოსამართლის სიფრთხილესა და გულმოდგინებაზე, როგორი მიდგომაც ჰქონდა მას აღნიშნულ საქმესთან.

ჩვენების ერთადერთი ან გადამწყვეტი ბუნების შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაიწყო ეროვნული სასამართლოების მიერ მტკიცებულებების შეფასებით. საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაზარალებულის ჩვენება არ

მიიჩნია გადამწყვეტად. მეორე მხრივ, ხელმისაწვდომი იყო დამოუკიდებელი მტკიცებულება, მათ შორის მოტაცების დროს მსხვერპლის სახლის გარეთ ბ-ნი გრეჰემის ყოფნის ამსახველი კადრები, უდავო სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც აჩვენებდა ბ-ნი მარკის ტელეფონიდან დაზარალებულის მეუღლის ტელეფონზე განხორციელებულ ზარებს მოტაცების ღამეს და მტკიცებულება, რომ მომჩივნები დაბინავდნენ სასტუმროში მოტაცების ღამეს იმ მანქანით, რომელიც მათ მოპარეს დაზარალებულს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შესაბამისად დაადგინა, რომ დაზარალებულის ჩვენება არ იყო მომჩივანთა მსჯავრდების ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი. შესაბამისად, აუცილებელი არ იყო იმის შეფასება, არსებობდა თუ არა საკმარისი საპირწონე ფაქტორები.

შესაბამისად, არ დარღვეულა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტი ბ-ნ მარკსა და ბ-ნ გრეჰემთან მიმართებაში.